20.12.2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს,

ასლი: მინისტრის მოადგილეებს -
ბატონ გიორგი წოწკოლაურსა და ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო ეკატერინე,

გიგზავნით, საქართველოს ანესთეზიოლოგიისა და კრიტიკული მედიცინის საზოგადოების, საქართველოს ანესთეზიოლოგიის და რეანიმატოლოგიის სკოლის, დარგის წამყვანი ექსპერტების, ქვეყნის დიდი, კლინიკების წარმომადგენლების ერთიან პოზიციას კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინის განყოფილებებში ე.წ. ძვირად ღირებული ICD 10კოდებთან დაკავშირებით, რომლებიც რეალურად გაცილებით ძვირი ჯდება ვიდრე #520 დადგენილებითაა გათვალისწინებული. (ცალკე დანართით იხილეთ ამ კოდების რეალური, საშუალო პირდაპირი ხარჯები).

1. J80 - მოზრდილთა რესპირაციული დისტრეს - სინდრომი
2. A41.9- სეპტიცემია დაუზუსტებელი (სეპტიური შოკი)
3. R65.1 - ინფექციური მიზეზით განპირობებული სისტემური ანთებითი პასუხის სინდრომი, ორგანული დაზიანებებით
4. R40.2 კომა დაუზუსტებელი

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ქვეყნის რეანიმატოლოგთა, დარგობრივი ასოციაციების და კლინიკების პოზიცია და ზემოთ ხსენებულ კოდებზე გაზადროთ განფასება, რეალურ ხარჯებზე დაყრდნობით.
იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენი გადაწყვეტილება კონსტრუქციული იქნება. მზად ვართ შემდგომი თანამშრომლობისთვის.
პატივისცემით,

მამუკა ჩხაიძე

საქართველოს ანესთეზიოლოგიისა და კრტიკული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტი,

ასოცირებული პროფესორი, ევექს ჰოსპიტლების კლინიკური დირექტორი,